

მთაწმინდის პალეო კატასტროფული მეწყრის წინასწარი კვლევა

რატი ლილუაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის
შემსწავლელი მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ მაღალაშვილი, პროფესორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

რატი ლილუაშვილი

10.01.2022

შინაარსი

შესავალი.....	5
1 კვლევის ობიექტი, მიზანი და ამოცანები.....	6
1.1 მეწყრების ზოგადი დახასიათება.....	6
2 მთაწმინდის ზოგადი გეოლოგიური დახასიათება.....	9
3 არსებული მასალების მიმოხილვა.....	10
4 საკვლევი ჰიპოთეზა.....	11
5 კვლევის მეთოდოლოგია.....	14
6 დასკვნა.....	20
გამოყენებული წყაროები.....	22
დანართი 1.....	24
დანართი 2.....	25

აბსტრაქტი

მთაწმინდის არეალის მამადავითის ნაწილის აღმოსავლურ ექსპოზიციაზე არსებული ფერდობის მორფოლოგია მკვეთრად განსხვავდება იმავე არეალში არსებულ სხვა ფერდობებისგან, რაც მის ფორმირებაში გეოლოგიურ წარსულში განვითარებული კატასტროფული ხასიათის მეწყრული პროცესის როლზე მიგვანიშნებს. წინამდებარე ნაშრომში ჩვენს მიერ ჩატარებული სავლე-სარეკოგნოსცირებო, კამერალური სამუშაოებისა და წარსულში ჩატარებული კვლევების შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე განხილულია საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიური აგებულება, აღნიშნული მეწყერის ბუნება და მისი შესაძლო მაპროგნოზირებელი პროცესები.

ნაჩვენებია, რომ მთაწმინდის პალეო მეწყერის მაპროგნოზირებელი მიზეზი შესაძლოა იყო მდ. მტკვრის გვერდითი ეროზია, რამაც გამოიწვია კატასტროფული ხასიათის მეწყერი, ხოლო თავის მხრივ მისმა შედეგმა კი შემდგომში მდინარის კალაპოტის ცვლილება.

საკვანძო სიტყვები: მთაწმინდა, მამადავითის ანტიკლინი, პალეო მეწყერი, თბილისი.